დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი

ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ცირა ნიკოლაშვილი
წევრ(ებ)ი:
ნათია ოზბეთელაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406243514

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, გრიშაშვილის ქ. N51
საფოსტო ინდექსი	0114
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.schoolintellectplus.ge/ka/about
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	intellect.intel@gmail.com intellectplius@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 1 24 0001342622, 17/10/2024
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2024 წლის 23 ოქტომბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, 2024 წლის 16 სექტემბრის №1138850 წერილით ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებში ასახული გარემოების გამოკვლევის, შემოწმებისა და მათი დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული სტანდარტის/სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2024 წლის 23 ოქტომბერს არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსში.

ცენტრში შემოსული კორესპონდენცია წარმოადგენს შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის მოსწავლის მშობლის განცხადებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მასწავლებელმა, რომელიც ამავე კლასის დამრიგებელია, მშობლებისა და მოსწავლეების საერთო ჩატში, მის შვილს მიაყენა შეურაცხყოფა, დააბულინგა და დაამცირა. მინისტრის სახელზე დაწერილ განცხადებაში მშობელი მინისტრს სთხოვს სათანადო რეაგირების გამოვლენას.

მშობლის განცხადებაში აღწერილი გარემოებების გამოკვლევის, შემოწმებისა და მათი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი და განახორციელა ადგილზე ვიზიტი. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით და გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით.

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესწავლის, მოსწავლისა და მშობლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით სკოლაში არსებული მექანიზმებისა და კონკრეტულად ვიზიტის საფუძვლის, მშობლის განცხადებაში აღწერილი გარემოებების, შესწავლისა და მასზე სკოლის რეაგირების მოკვლევის მიზნით დაიგეგმა გასაუბრებები დირექტორთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ფსიქოლოგთან; გამოთხოვილ იქნა სასკოლო დოკუმენტაცია: შინაგანაწესი, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი, მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული რეგულაცია/რეგულაციები, საჩივრის განხილვის წესი, დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები პერსონალისათვის, პერსონალის პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები, მშობელთან გაფორმებული

ხელშეკრულებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა რეგულაცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის შესახებ ბრძანება, სასკოლო სასწავლო გეგმა.

ჩატარდა გასაუბრებები სასკოლო საზოგადოებასთან შემდეგ საკითხებზე: ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებები, პერსონალური მონაცემების დაცვა, სკოლაში არსებული უფლებების დაცვის მექანიზმები, სკოლაში არსებული საჩივრების განხილვის სისტემა, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები, სკოლაში მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმირების მექანიზმები, დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირების პრაქტიკა, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სამუშაო ვალდებულებები, მშობლებთან კომუნიკაციის წესი.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში. დაწესებულებამ უზრუნველყო გასაუბრებების ორგანიზება და საჭირო დოკუმენტაციაზე წვდომა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
450	**432**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 22 ნოემბერს შემოსული შპს-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N1509746) და დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილი კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N1467798).

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციასთან დაკავშირებით.

1. ინდიკატორი N3.3.1.3. სკოლაში არსებობს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ხარვეზი: „სკოლის მიერ არ არის დაფიქსირებული შინაგანაწესის შესაბამისი სათანადო რეაგირება თვალსაჩინო ფაქტობრივ გარემოებაზე: მიმოწერის სურათები სოციალური ქსელის „სასაუბროდან“, რომელიც ასახავს მასწავლებლის მოსწავლესთან კომუნიკაციის შინაარსსა და მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასების როგორც მასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევას“. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ინფორმირების ვადა საჩივრის განხილვის შესახებ არ იყო დაცული. 2024 წლის 28 მაისს ელ. ფოსტაზე მიღებული მშობლის საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება სკოლამ მშობელს ოფიციალურად (წერილობით) აცნობა 12 ივლისს. სკოლის მიერ ოფიციალური წესით (წერილობით) ინფორმირება მოხდა საჩივრის წერილის დარეგისტრირებიდან 46-ე დღეს ნაცვლად ერთი თვის ვადისა. სკოლის მიერ საჩივრის განხილვის ვადის გახანგრძლივების გადაწყვეტილების მისაღებად საფუძველი (საკუთრივ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა), არ გამოვლენილა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის ეფექტიანი საშუალების არსებობას. (ზოგადი განათლების კანონი, მუხლი 12.)“

სკოლის პოზიცია: არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება <u>ნაწილობრივ ეთანხმება</u> ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას. კორესპონდენციის მეშვეობით სკოლა წარმოადგენს ინფორმაციას სკოლის მიერ მშობლის საჩივარზე რეაგირების შესახებ. დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N1/კ-60/2 ბრძანების შესახებ. ბრძანებით „შინაგანაწესის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თ, გ და ვ პუნქტების დარღვევის გამო, რომელიც გამოიხატა კლასის საერთო ჩატში მოსწავლის პირადი ინფორმაციის გასაჯაროებაში, ამასთან არაეთიკური ფორმით და ფსიქოლოგიურ ზეწოლაში, სკოლის შინაგანაწესის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-17 მუხლის საფუძველზე“ გამოეცხადა **სასტიკი საყვედური** პირად საქმეში შეტანით.

სკოლა მიიჩნევს, რომ დისციპლინური წარმოების ნაწილში არ გააჩნია გამართული მექანიზმი, რადგან ვერ ხერხდება დაინტერესებული პირების ჩართვა დისციპლინურ წარმოებაში და მათი დროული ინფორმირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლა ადასტურებს, რომ დაიწყო მუშაობა სკოლის ახალი სტრუქტურული ერთეულის „დისციპლინური საბჭოს“ ჩამოყალიბებაზე. საბჭოს შემადგენლობაში იქნება 7 წევრი - სკოლაში დასაქმებული პირები, მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე.

ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის პროცესში (23 ოქტომბერს), დირექტორთან და მასწავლებელთან ჩაატარა გასაუბრებები საკითხის შესწავლის, მათ შორის მშობლის საჩივარზე სკოლის რეაგირების მოკვლევის მიზნით. 2024 წლის 28 მაისს სკოლაში შემოსულ მშობლის განცხადებაზე დაწესებულების პასუხში (2024 წლის 12 ივლისი) აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ მოკვლეული იყო საკითხი მასწავლებელთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, რის შედეგად სხვა პრეტენზიები მასწავლებლის მისამართით არ დაფიქსირებულა და გამოითქვა მასწავლებლის მუშაობით კმაყოფილება. სკოლამ პედაგოგთან გამართა შეხვედრა და მოუწოდა მას ინტერნეტ სივრცეში თავშეკავებისაკენ და მშობლებთან და მოსწავლეებთან კონტაქტის მინიმუმამდე დაყვანისაკენ.

არგუმენტირებულ პოზიციაში ხსენებულ, დაწესებულების დირექტორის მიერ მასწავლებლისათვის (10 ოქტომბერს) დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანება და ამავე ბრძანების საფუძვლის (მშობლის - 2024 წლის 11 სექტემბრის განცხადება) შესახებ ინფორმაციაა ექსპერტებისათვის, ვიზიტის განხორციელების დროს, ცნობილი არ ყოფილა.
სკოლის მიერ წარმოდგენილია დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N1/კ-60/2 ბრძანება მასწავლებლისათვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ პირად საქმეში შეტანით. ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა დასაქმებულთა პირადი საქმეები შემთხვევითი შერჩევით, მათ შორის საკუთრივ კონკრეტული მასწავლებლის პირადი საქმე. პირად საქმეში ბრძანება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განთავსებული არ ყოფილა.
სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლა აღწერს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობას: ***„მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შექმნა“.***
ვადები: 15.11.2024-20.12.2024.
კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შექმნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 20.12.2024

2. ინდიკატორი N3.4.1.3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ხარვეზი: „მასწავლებლის უკუკავშირის შინაარსი (ნამუშევრის ნეგატიური სიტყვიერი შეფასება) და ფორმა (არა ინდივიდუალურად არამედ მოსწავლეთა „სასაუბროში“) მოსწავლისათვის არ ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო, კეთილგანწყობილ გარემოს, უარყოფითად აისახება მის ემოციურ მდგომარეობასა და თვითშეფასებაზე“.

სკოლის პოზიცია: კორესპონდენციაში სკოლა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსწავლე, მასწავლებლის მხრიდან გარკვეულწილად აღმოჩნდა ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, რისთვისაც მას დაეკისრა დისციპლინური სახდელი. მასწავლებელი სრულად აცნობიერებს მის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგს და გეგმავს, რომ მეტი იმუშაოს საკუთარ თავზე, რისთვისაც მან გაიარა ტრეინინგი „მოსწავლის შეფასება და ეფექტური უკუკავშირი“.
ამასთან, დაწესებულება აღწერს საკითხზე რეაგირების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს: *„სკოლა გეგმავს თავის თანამშრომლებთან განახორციელოს გარკვეული სახის სასწავლო-შემეცნებითი სახის ღონისძიებები, თუ რა რისკის მატარებელია ე.წ. ჩატებსა და ჯგუფებში ურთიერთობები, მით უმეტეს მოსწავლის მიერ შესასრულებელი/შესრულებული დავალებების განხილვა და შეფასება.*
აღნიშნული პრაქტიკის გაგრძელებას სკოლა მიიჩნევს დაუშვებლად. სკოლამ გასცა რეკომენდაცია, მასწავლებლისა და მოსწავლის საკომუნიკაციოდ გამოყენებულ იქნას მხოლოდ ელ. პლატფორმა Schoolbook, რომლითაც შესაძლებელია ინდივიდუალური კომუნიკაციის წარმოება (მშობლის ჩართულობით), ხოლო ყველა ე.წ. ჩატი უნდა გაუქმდეს.
გარდა ზემოთ განხორციელებული ღონისძიებებისა, სკოლის სტრუქტურულმა ორგანომ - მრჩეველთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო, მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის ფართო ჩართულობით, სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, 2024/25 სასწ. წლის 1-ელი სემესტრის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში სკოლაში ჩატარდეს კამპანიური სახის ღონისძიებები დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლის დირექცია სრულად იზიარებს ამ რეკომენდაციას და აცხადებს მზაობას, განახორციელოს შესაბამისი სახის აქტივობები მისი მხარდაჭერის მიზნით“.

ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის პროცესში (23 ოქტომბერს), დირექტორთან და მასწავლებელთან ჩაატარა გასაუბრებები საკითხის შესწავლის, მათ შორის საკითხზე სკოლის რეაგირების მოკვლევისა და მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის შესწავლის მიზნით. მასწავლებლის მიერ ტრენინგის „მოსწავლის შეფასება და ეფექტური უკუკავშირი“ გავლის შესახებ ინფორმაცია ექსპერტებისათვის ცნობილი არ ყოფილა. წარმოდგენილია ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც დათარიღებულია -„2024 წლის სექტემბრით“.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლა აღწერს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობას: *„თავისი სასკოლო საზოგადოებისათვის, თავისივე რესურსის აქტიურად გამოყენების და ამ საზოგადოების შიდა პროცესებში მეტი ინკლუზიის მეშვეობით სკოლა ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს.“*
ვადები: 15.11.2024-30.06.2025.
კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „თავისი სასკოლო საზოგადოებისათვის, თავისივე რესურსის აქტიურად გამოყენების და ამ საზოგადოების შიდა პროცესებში მეტი ინკლუზიის მეშვეობით სკოლა ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 30.06.2025

3. ინდიკატორი N4.1.1.1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ხარვეზი*:* „დისციპლინური სახდელის (მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნა) დაკისრების შესახებ დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული დღეების რაოდენობა არ არის თანხვედრაში შინაგანაწესით დადგენილ ვადებთან. დირექტორის ბრძანებით, მოსწავლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელები: „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ დღის ვადით“ და „სკოლიდან დროებით დათხოვნა ათი დღის ვადით.“ შინაგანაწესით კი გაწერილია „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ სასწავლო დღემდე ვადით და სკოლიდან დროებით დათხოვნა ათ სასწავლო დღემდე ვადით“. (შინაგანაწესი, მუხლი 16. პუნქტი 6 და მუხლი 16. პუნქტი 7).“

სკოლის პოზიცია: სკოლა ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და ადასტურებს, რომ დარღვეულია სკოლის შინაგანაწესის 16.6 და 16.7 პუნქტის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს ახალი სტრუქტურული ერთეულის „დისციპლინური საბჭოს“ შექმნას, ხოლო ზემოთ აღწერილ შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ *„სკოლას უკვე გააჩნია პრაქტიკა და შესაბამისი რესურსი, რომ მსგავსი შეცდომა აღარ იქნას დაშვებული“.*

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლა აღწერს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობას: ***„სკოლამ დაიწყო მუშაობა ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უფლებამოსილი იქნება, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე განიხილოს დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტები, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადება/საჩივრები და წარმოადგინოს წერილობითი სახის დასკვნა“.***
ვადები: 15.11.2024-20.12.2024.
კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უფლებამოსილი იქნება, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე განიხილოს დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტები, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადება/საჩივრები და წარმოადგინოს წერილობითი სახის დასკვნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 20.12.2024

4. *ინდიკატორი N2.1.2.5.* **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს,** მიზნებსა და ამოცანებს;

ხარვეზი: „სოციალურ ქსელ მესინჯერის კლასის სასაუბრო ჯგუფში, მასწავლებელმა მოსწავლის შესრულებულ დავალებას უწოდა „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი.“ ნამუშევრის შესახებ ამგვარად ფორმულირებული უკუკავშირი არ ითვალისწინებს/ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების მიზანს. კერძოდ, არ ემსახურება მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, არ ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს

მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. (ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 7.) დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმით, აგრეთვე, განსაზღვრულია, რომ განმავითარებელი შეფასების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას (სასკოლო სასწავლო გეგმა, გვ.19), რაც ვერ მოხერხდება ამგვარი უკუკავშირის შემთხვევაში".

სკოლის პოზიცია: *„სკოლა ვერ გაიზიარებს ექსპერტთა ამგვარ შეფასებას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსწავლის ნამუშევრის (დავალების) შეფასება არ მომხდარა ხსენებულ ბუკლეტზე იგივე შინაარსის მქონე სიტყვების დაწერით („საშინელება, კოშმარი და სირცხვილი"), არც ელექტრონულ ჟურნალში ასახულა, ეს ე.წ. შეფასება გამოთქვა მასწავლებელმა სკოლისგან დამოუკიდებლად შექმნილ სოც. ჯგუფში, წარმოადგენს მასწავლებლის პირად მოსაზრებას და არაფერი აქვს საერთო ესგ-ს მიერ დადგენილი სტანდარტის საფუძველზე შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის" მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ 2023-24 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში მოცემულ შეფასების სისტემასთან. აღნიშნულ ფაქტი განიხილება დისციპლინური გადაცდომის ჭრილში და სკოლა გეგმავს პრევენციული სახის ღონისძიებების გატარებას (მათ შორის მრჩეველთა საბჭოს ჩართულობით), რაც თავის თავში არ გამორიცხავს მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვაგანხორციელებას მასწავლებელთა მხრიდან შეფასების სისტემის დახვეწასა და სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით".*

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით, რადგან მიუხედავად იმისა, მასწავლებლის მიერ მოსწავლის დავალებასთან დაკავშირებით უკუკავშირი გაიცა სკოლის ოფიციალური ელექტრონული პლატფორმისა თუ არაფორმალური საკომუნიკაციო ჯგუფის გამოყენებით, ფორმულირება *(„საშინელება, კოშმარი და სირცხვილი")*, არ ითვალისწინებს/ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების მიზანს. კერძოდ, არ ემსახურება მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, არ ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის და ხელს ვერ შეუწყობს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას.
აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ დაწესებულება მიიჩნევს, რომ „ე.წ. შეფასება" მასწავლებლის პირად მოსაზრებას წარმოადგენს და არაფერი აქვს საერთო შეფასების სისტემასთან, მეორე მხრივ კი მასწავლებელი სრულიად აცნობიერებს საკუთარი ქმედების შედეგს და ამასთან კავშირში, პროფესიულ განვითარების მიზნით გადის სწორედ შეფასებისა და ეფექტური უკუკავშირის შესახებ ტრენინგს (წარმოდგენილი სერტიფიკატი 2024 წლის სექტემბერი), ხოლო სკოლა არ გამორიცხავს მხარდამჭერი

ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას მასწავლებელთა მხრიდან შეფასების სისტემის დახვეწასა და სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით.

სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს „სრული“ შესაბამისობა და ამავდროულად, გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა: *„სკოლას გააჩნია მოსწავლეთა შეფასების გამართული სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა გეგმავს მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას (კვალიფიციური ექსპერტების მოწვევას) შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწისათვის“.*

განხორციელების ვადები: 01.12.2024 - 30.06.2025

კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის აქტივობა *„მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება (კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა) შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწისათვის“.* შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.06.2025

5. ინდიკატორი N3.4.1.6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

რჩევა: „სკოლას მიეცა რჩევა, *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესითა და სახელმძღვანელო პრინციპებით“ დადგენილი წესის (მუხლი 18. პუნქტი 1.) დარღვევა ასახოს შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალში და განისაზღვროს შესაბამისი დისციპლინური სახდელი“.*

სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და წარმოადგინა ბრძანება შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.3.1.3	სკოლაში არსებობს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შექმნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 20.12.2024
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „თავისი სასკოლო საზოგადოებისათვის, თავისივე რესურსის აქტიურად გამოყენების და ამ საზოგადოების შიდა პროცესებში მეტი ინკლუზიის მეშვეობით სკოლა ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს.“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 30.06.2025
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უფლებამოსილი იქნება, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე განიხილოს დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტები, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადება/საჩივრები და წარმოადგინოს წერილობითი სახის დასკვნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 20.12.2024
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის აქტივობა „მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება (კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა) შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწისათვის“. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.06.2025

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ექსპერტთა მიგნებები

ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ დასკვნას თხრობითი სახით:

2024 წლის 11 სექტემბერს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის მოსწავლის მშობელმა განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. განცხადებაში მშობელი წერს, რომ მუსიკის მასწავლებელმა, რომელიც ამავე კლასის დამრიგებელია, საერთო ჩატში, რომლის წევრები არიან მოსწავლეები და მშობლები, მის შვილს „მიაყენა შეურაცხყოფა, დააბულინგა და დაამცირა," რის შემდეგაც კლასში დაიწყო მისი შვილის „ბულინგი და დაცინვა". მშობლის თქმით, საჭირო გახდა ბავშვის ფსიქოლოგთან მიყვანა. დამრიგებელთან მიმართვის მიუხედავად, მშობელი წერს, რომ გაგრძელდა მისი „შვილის დაცინვა და ეს მოხდა არააერთხელ". მშობელმა მიმართა დირექციას, მაგრამ აღნიშნულ მიმართვას, მშობლის შეფასებით, არ მოჰყოლია რეაგირება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე დაწერილ განცხადებაში მშობელი მინისტრს სთხოვს სათანადო რეაგირების გამოვლენას.

მშობლის განცხადებას ერთვის მიმოწერის სურათები მოსწავლეებისა და მშობლების სოციალურ ქსელ მესინჯერის „სასაუბროებიდან". მშობლის მიერ წარმოდგენილ სურათებზე **(დანართი N1. მშობლის განცხადება)** ასახულია მიმოწერა ორი ჯგუფიდან: ჯგუფი „მუსიკა 6-ბ" და ჯგუფი „მშობლები". სასაუბროში „მუსიკა 6-ბ" მიმოწერის მხოლოდ ფრაგმენტია ასახული, წაშლილია საუბარში მონაწილე მოსწავლის მიერ გაგზავნილი შეტყობინებები.

სურათებიდან ირკვევა, რომ ჯგუფში („მუსიკა 6.ბ") მასწავლებელმა მოსწავლის შესრულებულ დავალებას უწოდა „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი" და ახალ ბუკლეტს სთხოვდა, თუნდაც „ფეხით დაეხატა". მიმოწერაში ჩანს, რომ მასწავლებელი ჯერ ტოვებს ჯგუფს, შემდეგ კვლავ ემატება. ამავე დროს იმართება მოსწავლეებს შორის დიალოგი განმცხადებელი მშობლის, მისი შვილისა და კიდევ ერთი მოსწავლის ჯგუფიდან ამოშლის შესახებ. ჯგუფიდან ამოშლის ინიციატორად ერთ-ერთი მოსწავლე მიმოწერაში ასახელებს მასწავლებელს. აღნიშნულ ფაქტს მოჰყვა ამავე მოსწავლის მშობლის გამოხმაურება და მის მიერ საკითხის განხილვა ჯგუფში „მშობელები".

მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება მშობლის მიერ წარმოდგენილ სურათებზე ასახული მიმოწერის ნამდვილობა. მასწავლებლის თქმით, მოსწავლის მიერ გაკვეთილზე წარმოდგენილი ნამუშევარი არ პასუხობდა დავალების პირობასა და კრიტერიუმებს. ამის გამო მან არ მიიღო მოსწავლისაგან დავალება წარმოდგენილი ფორმით და სთხოვა შეესრულებინა ახლიდან წინასწარ ცნობილი კრიტერიუმების მიხედვით; კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლის ნამუშევარი (ბუკლეტი ოპერისა და ბალეტის თეატრის შესახებ) არ იყო სრულყოფილი: ნახატი ჰგავდა „საქათმეს“ და არ იყო წარმოდგენილი ტექსტი/ინფორმაცია. მასწავლებლის განმარტებით, მესინჯერის სასაუბროში მან მოსწავლეებს შეახსენა დავალება წარმოედგინათ. კონკრეტულმა მოსწავლემ ამავე ჯგუფში დაწერა, რომ მას უკვე ჩაბარებული ჰქონდა თავისი ნამუშევარი. მასწავლებლისვე თქმით, მოსწავლეს ამავე ჩატში დაუწერა კლასში წარმოდგენილი პირვანდელი ნამუშევარის ზუსტი შეფასება „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი“ და ახლიდან წარმოდგენა დაავალა. მასწავლებელმა მოსწავლისათვის დაწერილი კომენტარი საკუთარი იუმორის თვისებით ახსნა.

მშობელმა 2024 წლის 28 მაისს მიმართა სკოლას. ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებით მშობელმა აცნობა სკოლის დირექტორს კლასის დამრიგებლის მიმართ უკმაყოფილების შესახებ. **(დანართი N2. მშობლის წერილი)** დირექტორისაგან მშობელი ითხოვს „ასეთი მასწავლებლის“ ბავშვებისაგან განრიდებას. ასევე, ითხოვს განცხადების განხილვის პროცესში მის ჩართვას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებას.

სკოლის დირექტორის თქმით, მან განიხილა მშობლის განცხადება, გაეცნო სასაუბრო ჯგუფში მიმოწერის სურათებს და ჩაატარა მოკვლევა საკითხთან დაკავშირებით: გაესაუბრა მუსიკის მასწავლებელს და მისცა მხოლოდ ზეპირსიტყვიერი შენიშვნა სასაუბროში მოსწავლისათვის გაცემული უკუკავშირის შინაარსის გამო. დირექტორის თქმით, მასწავლებლის კლასის დამრიგებლის პოზიციიდან გათავისუფლების მოთხოვნა განმცხადებელ მშობელს არ დაუკმაყოფილა, რადგან მოკვლევის დროს სხვა მოსწავლეთა მშობლებმა გამოხატეს კმაყოფილება დამრიგებლის მუშაობით. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს მონაწილე მშობლებმა დააფიქსირეს დადებითი მოსაზრება დამრიგებლის მუშაობის შესახებ.

სკოლამ მშობელს 2024 წლის 12 ივლისს წერილობით აცნობა მისი საჩივრის განხილვის შედეგები და მშობელს შესთავაზა მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანა. აქვე აცნობა, რომ თუ მშობელი მოსწავლის კლასში დარჩენის გადაწყვეტილებას მიიღებდა, კლასის დამრიგებელს ისეთივე თბილი და მეგობრული დამოკიდებულება დარჩებოდა მოსწავლის მიმართ, რაც მანამდე ჰქონდა. **(დანართი N1. მშობლის განცხადება)**

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 28 მაისს ელ.ფოსტაზე მიღებული მშობლის საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება სკოლამ მშობელს ოფიციალურად (წერილობით) აცნობა 12 ივლისს. მშობლის ინფორმირება მოხდა საჩივრის წერილის დარეგისტრირებიდან 30 დღეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო საჩივრის განხილვის ვადად სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია 1 თვე; სკოლის მიერ საჩივრის განხილვის ვადის გახანგრძლივების გადაწყვეტილების მისაღებად საფუძველი (საკუთრივ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა), არ გამოვლენილა.

ამავე პერიოდში, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, მშობელმა საკუთარი ინიციატივით მიმართა ფსიქოლოგს (სკოლის გარეთ) და ბავშვთან ერთად მასთან კონსულტაცია გაიარა. მშობელმა აღნიშნა, რომ ამავდროულად, დაუკავშირდა მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი და შესთავაზა კონსულტაცია. მშობლების განცხადებით, სურთ და გეგმავენ კონსულტაციის მიღებას. აღნიშნულ პერიოდსა და გასულ წლებში მოსწავლესთან მუშაობდა სკოლის ფსიქოლოგი წრის ფორმატში.

მშობელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებელი არ ატყობინებდა მშობელს დროულად მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომებს. მისი თქმით, ის შვილისაგან იგებდა მომხდარ ფაქტებს და თვითონ ურეკავდა დამრიგებელს ინფორმაციის მისაღებად. აგრეთვე, ვიზიტის დღეს (24.10.2024) ექსპერტთა ჯგუფისათვის ცნობილი გახდა, რომ მოსწავლე სკოლიდან დროებით იყო დათხოვნილი (21 ოქტომბრიდან 10 დღის ვადით). მშობელმა აღნიშნა, რომ ის თვითონ დაუკავშირდა მასწავლებელს, რათა მიეღო ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მიეწოდებინა მოსწავლის შესრულებელი დავალებები საგნის მასწავლებლებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ დამრიგებელი თავად დაკავშირებოდა. აღსანიშნავია, რომ დირექტორის ბრძანებით დამრიგებელს დაეკისრა „სამეცადინო დავალებების კონტროლი“.

სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N54/3 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. შინაგანაწესით განისაზღვრება რიგი საკითხები, მათ შორისაა: მუხლი სასკოლო საზოგადოების წევრთა (პირთა) უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის უფლებები და ვალდებულებები; აგრეთვე, მუხლები დისციპლინური დევნა, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, სკოლის მანდატურის მიერ

შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, სკოლაში შემოსული განცხადების/საჩივრის რეგისტრაციისა და განხილვის წესი.

სკოლის შინაგანაწესში ასახულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, გაწერილია გასაჩივრების წესი, დისციპლინური წარმოების წესი მოსწავლეთა მიმართ. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა, შინაგანაწესი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; დოკუმენტი განთავსებულია საჯაროდ, სასკოლო სივრცესა და სკოლის ვებ გვერდზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ვალდებულებად დამრიგებლების მიერ მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირება სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის, უსაფრთხოების წესებისა და დამრიგებლის ფუნქციების შესახებ.

სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური 2024 წლის 01 თებერვლიდან. მანდატურს განმცხადებელი მშობლის შვილის/მოსწავლისათვის აქვს დაფიქსირებული დისციპლინის დარღვევის რამდენიმე ფაქტი, რასაც მოჰყვა სკოლის დირექტრის მხრიდან შინაგანაწესით განსაზღვრული რეაგირება. ქვემოთ აღწერილია მოსწავლისათვის შედგენილი სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ფორმები და მათზე დირექტორის რეაგირების შესახებ ბრძანებები.

- *18.03.2024 წელს მოსწავლეს უფიქსირდება დარღვევის ტიპი - გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა, რასაც დირექტორის მხრიდან 21.03.2024 წელს მოჰყვა დამრღვევი პირის სიტყვიერი გაფრთხილება.*
- *21.03.2024 წელს მოსწავლეს უფიქსირდება დარღვევის ტიპი - ფიზიკური შეურაცხყოფა მოსწავლის მიმართ (შედეგად მოსწავლეებს ზიანი არ მიუღიათ), რასაც დირექტორის მხრიდან 22.03.2024 დამრღვევი პირის საყვედურის გამოცხადება მოჰყვა.*
- *28.05.2024 წელს მოსწავლეს უფიქსირდება დარღვევის ტიპი - სიტყვიერი შეურაცხყოფა მოსწავლის მიმართ, რასაც დირექტორის მხრიდან 31.05.2024 დამრღვევი პირის საყვედურის გამოცხადება მოჰყვა.*
- *31.05.2024 წელს მოსწავლეს უფიქსირდება დარღვევის ტიპი - დაზიანება მოსწავლისთვის (კერძოდ, კლასელის წიგნის დახევა), რასაც დირექტორის მხრიდან 03.06.2024 წელს დამრღვევი პირის სკოლიდან 5 დღის ვადით დათხოვნა მოჰყვა.*
- *17.10.2024 წელს მოსწავლეს უფიქსირდება დარღვევის ტიპი - სიტყვიერი შეურაცხყოფა სკოლის სხვა თანამშრომლის მიმართ, რასაც დირექტორის მხრიდან 21.10.2024 წელს დამრღვევი პირის სკოლიდან 10 დღის ვადით დათხოვნა მოჰყვა.*

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის დისციპლინური სახდელები, მათ შორისაა სკოლიდან დროებით დათხოვნა: „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ სასწავლო დღე**მდე** ვადით და სკოლიდან დროებით დათხოვნა ათ სასწავლო დღე**მდე** ვადით“ (შინაგანაწესი, მუხლი 16. პუნქტი 6 და მუხლი 16. პუნქტი 7). დირექტორის ბრძანებით მოსწავლეს დაეკისრა დისციპლინური სახდელი ორჯერ: „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ დღის ვადით“ და „სკოლიდან დროებით დათხოვნა ათი დღის ვადით.“ ორივე შემთხვევაში მოსწავლის დათხოვნის მიზნით ბრძანებით განსაზღვრული დღეების რაოდენობა არ არის თანხვედრაში შინაგანაწესით დადგენილ ვადებთან.

მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, არსებული საკითხის შესწავლის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულების მიერ არ არის დაკმაყოფილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შემდეგი ინდიკატორები: ინდიკატორი N3.3.1.3, ინდიკატორი N3.4.1.3, ინდიკატორი N4.1.1.1 და დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის ინდიკატორი N2.1.2.5 (იხ. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.); აქედან გამომდინარე, მესამე, მეოთხე და მეორე სტანდარტების შეფასებაა *„არ შეესაბამება“.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დანართი N1. მშობლის განცხადება
- დანართი N2. მშობლის წერილი ელ. ფოსტაზე
- შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ შინაგანაწესი - დამტკიცებული შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N54/3 ბრძანებით;
- შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - დამტკიცებული შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის N 48/3 (04.09.2023წ.) ბრძანებით;
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ სასკოლო სასწავლო გეგმა - დამტკიცებული შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის N 1 სხდომით;

- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და სახელმძღვანელო პრინციპები - დამტკიცებული შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 2024 წლის 3 ივნისის N32 ბრძანებით;
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე დანიშვნა - შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 30.05.2024 წლის N30/2 ბრძანება;
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსში“ დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები - დამტკიცებული შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 8 სექტემბრის N52/1 ბრძანებით;
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები - შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 17.01.2024 წლის N5/1 ბრძანება;
- 28.05.2024 წელს სკოლის ელ. ფოსტაზე შესული მშობლის საჩივრის წერილი - N165;
- 18.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00137495;
- 18.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00137495) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 21.03.2024 წლის N3 პასუხი სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.
- 21.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00138438;
- 21.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00138438) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 22.03.2024 წლის N 6 პასუხი სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.
- 28.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00148993;

- 28.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00148993) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 31.05.2024 წლის N15 პასუხი სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.
- 31.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00149645;
- 31.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00149645) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 03.06.2024 წლის ბრძანება N35/3;
- 17.10.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00156300;
- 17.10.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00156300) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 21.10.2024 წლის ბრძანება N მ-82/1.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.....

2.....

3. მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომებს, სახდელებსა და დისციპლინური წარმოების წესს განსაზღვრავს სკოლის შინაგანაწესი, რომელიშიც მასწავლებლის დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსისა“ და კონფდენციალობის დარღვევა (სკოლის შინაგანაწესი, მუხლი 13. პუნქტი 1ე. და 1თ.). სკოლის მხრიდან არ არის დაფიქსირებული შინაგანაწესის შესაბამისი სათანადო რეაგირება თვალსაჩინო ფაქტობრივ გარემოებაზე: მიმოწერის სურათები სოციალური ქსელის „სასაუბროდან“, რომელიც ასახავს მასწავლებლის მოსწავლესთან კომუნიკაციის შინაარსსა და მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასების როგორც მასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევას.

მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომებს, სახდელებსა და დისციპლინური წარმოების წესს განსაზღვრავს სკოლის შინაგანაწესი, რომელიშიც მასწავლებლის დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსისა“ და კონფდენციალობის დარღვევა (სკოლის შინაგანაწესი, მუხლი 13. პუნქტი 1ე. და 1თ.). სკოლის მიერ არ არის დაფიქსირებული შინაგანაწესის შესაბამისი სათანადო რეაგირება თვალსაჩინო ფაქტობრივ გარემოებაზე: მიმოწერის სურათები სოციალური ქსელის „სასაუბროდან“, რომელიც ასახავს მასწავლებლის მოსწავლესთან კომუნიკაციის შინაარსსა და მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასების როგორც მასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევას.

დაწესებულების მიერ არ არის დაცული შინაგანაწესით განსაზღვრული საჩივრის განხილვის ვადები. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ინფორმირების ვადა საჩივრის განხილვის შესახებ არ იყო დაცული. 2024 წლის 28 მაისს ელ.ფოსტაზე მიღებული მშობლის საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება სკოლამ მშობელს ოფიციალურად (წერილობით) აცნობა 12 ივლისს. სკოლის მიერ ოფიციალური წესით (წერილობით) ინფორმირება მოხდა საჩივრის წერილის დარეგისტრირებიდან 46-ე დღეს ნაცვლად ერთი თვის ვადისა. სკოლის მიერ საჩივრის განხილვის ვადის გახანგრძლივების

გადაწყვეტილების მისაღებად საფუძველი (საკუთრივ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა), არ გამოვლენილა.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის ეფექტიანი საშუალების არსებობას. (ზოგადი განათლების კანონი, მუხლი 12.)

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლა აღწერს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობას: ***„მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შექმნა“.***

ვადები: 15.11.2024-20.12.2024.

კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შექმნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 20.12.2024

4.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 28.05.2024 წელს სკოლის ელ. ფოსტაზე შესული მშობლის საჩივრის წერილი - N165;
- დანართი N2
- შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ შინაგანაწესი - დამტკიცებული შპს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N54/3 ბრძანებით;
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსში“ დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები -

დამტკიცებული შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 8 სექტემბრის N52/1 ბრძანებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.....

2.....

3.....

4. 2024 წლის 11 სექტემბერს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის მოსწავლის მშობელმა განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. განცხადებაში მშობელი წერს, რომ მუსიკის მასწავლებელმა, რომელიც ამავე კლასის დამრიგებელია, საერთო ჩატში, რომელშიც გაერთიანებულნი არიან მშობლები და ბავშვები, მის შვილს „მიაყენა შეურაცხყოფა, დააბულინგა და დაამცირა," რის შემდეგაც კლასში დაიწყო მისი შვილის „ბულინგი და დაცინვა". მშობლის თქმით, საჭირო გახდა ბავშვის ფსიქოლოგთან მიყვანა. დამრიგებელთან მიმართვის მიუხედავად, მშობელი წერს, რომ გაგრძელდა მისი „შვილის დაცინვა და ეს მოხდა არა ერთხელ". მშობლის განცხადებას დართული სურათებიდან ირკვევა, რომ სოციალურ ქსელ მესინჯერის სასაუბრო ჯგუფში („მუსიკა 6.ბ"), რომელთა წევრები არიან მოსწავლეები და მშობლები, მასწავლებელმა მოსწავლის შესრულებულ დავალებას უწოდა „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი" და ახალ ბუკლეტს სთხოვდა, თუნდაც „ფეხით დაეხატა". მიმოწერაში ჩანს, რომ მასწავლებელი ჯერ ტოვებს ჯგუფს, შემდეგ კვლავ ემატება. ამავე დროს იმართება მოსწავლეებს შორის დიალოგი განმცხადებელი მშობლის, მისი შვილისა და კიდევ ერთი მოსწავლის ჯგუფიდან ამოშლის შესახებ. ჯგუფიდან ამოშლის ინიციატორად ერთ-ერთი მოსწავლე მიმოწერაში ასახელებს მასწავლებელს. აღნიშნულ ფაქტს მოჰყვა ამავე მოსწავლის მშობლის გამოხმაურება და მის მიერ საკითხის განხილვა ჯგუფში „მშობელები".

მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება მშობლის მიერ წარმოდგენილ სურათებზე ასახული მიმოწერის ნამდვილობა. მასწავლებლის თქმით, მოსწავლის მიერ გაკვეთილზე წარმოდგენილი ნამუშევარი არ პასუხობდა დავალების პირობასა და კრიტერიუმებს. ამის გამო მასწავლებელმა არ მიიღო მოსწავლისაგან დავალება წარმოდგენილი ფორმით და სთხოვა შეესრულებინა დავალება ახლიდან წინასწარ ცნობილი კრიტერიუმების მიხედვით; კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლის ნამუშევარი (ბუკლეტი ოპერისა და ბალეტის თეატრის შესახებ)

არ იყო სრულყოფილი: ნახატი ჰგავდა „საქათმეს“, ბუკლეტში არ იყო წარმოდგენილი ტექსტი/ინფორმაცია. მასწავლებლის განმარტებით, მესინჯერის სასაუბროში მოსწავლეებს შეახსენა, რომ დავალება წარმოედგინათ, ხოლო კონკრეტულმა მოსწავლემ ამავე ჯგუფში დაწერა, რომ უკვე ჩაბარებული ჰქონდა თავისი დავალება. მასწავლებლისვე თქმით, მოსწავლეს ამავე ჩატში დაუწერა კლასში წარმოდგენილი პირვანდელი ნამუშევარის ზუსტი შეფასება „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი“ და ამავდროულად შესთავაზა დავალების ახლიდან წარმოდგენა. მასწავლებელმა მოსწავლისათვის დაწერილი კომენტარი საკუთარი იუმორის თვისებით ახსნა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მასწავლებლის უკუკავშირის შინაარსი (ნამუშევრის ნეგატიური სიტყვიერი შეფასება) და ფორმა (არა ინდივიდუალურად, არამედ მოსწავლეთა „სასაუბროში“) მოსწავლისათვის არ ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო, კეთილგანწყობილ გარემოს, უარყოფითად აისახება მის ემოციურ მდგომარეობასა და თვითშეფასებაზე.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლა აღწერს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობას: ***„თავისი სასკოლო საზოგადოებისათვის, თავისივე რესურსის აქტიურად გამოყენების და ამ საზოგადოების შიდა პროცესებში მეტი ინკლუზიის მეშვეობით სკოლა ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს.“***
ვადები: 15.11.2024-30.06.2025.
კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „თავისი სასკოლო საზოგადოებისათვის, თავისივე რესურსის აქტიურად გამოყენების და ამ საზოგადოების შიდა პროცესებში მეტი ინკლუზიის მეშვეობით სკოლა ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო“ შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში 30.06.2025
5.....

6. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი; მოქმედებს დირექტორის 2024 წლის 03 ივნისის N32 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და სახელმძღვანელო პრინციპები. დოკუმენტის მე-18 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა ვალდებულებებს: ვალდებულია „სასწავლო პროცესის მიზნებისათვის ისარგებლოს მხოლოდ

ოფიციალური ელექტრონული რესურსებით და არ გამოიყენოს სხვადასხვა სოციალური პლატფორმები (Facebook, Viber, Skype და ა.შ.) პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ნებისმიერ ფორმით დასამუშავებლად, მისაღებად, გასაგზავნად, გასაზიარებლად და ა.შ. 2. წინამდებარე წესის დარღვევა წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესის დარღვევას და შესაძლოა მისთვის გათვალისწინებული იყოს შინაგანაწესით გათვალისწინებული ზომა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღწერილი წესის დარღვევა არ არის ასახული შინაგანაწესის დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალში. **სკოლას მიეცა რჩევა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესითა და სახელმძღვანელო პრინციპებით“ დადგენილი წესის (მუხლი 18. პუნქტი 1.) დარღვევა ასახოს შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალში და განსაზღვროს შესაბიმისი დისციპლინური სახდელი.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7.....
8.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N1. მშობლის განცხადება
- დანართი N2. მშობლის წერილი ელ. ფოსტაზე
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და სახელმძღვანელო პრინციპები - დამტკიცებული შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 2024 წლის 3 ივნისის N32 ბრძანებით;
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე დანიშვნა - შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 30.05.2024 წლის N30/2 ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N54/3 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. შინაგანაწესით გაწერილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, აგრეთვე, ვალდებულებები, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, სკოლაში შემოსული განცხადების/საჩივრის რეგისტრაციისა და განხილვის წესი.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის დისციპლინური სახდელები, მათ შორისაა სკოლიდან დროებით დათხოვნა: „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ სასწავლო დღე**მდე** ვადით და სკოლიდან დროებით დათხოვნა ათ სასწავლო დღე**მდე** ვადით“ (შინაგანაწესი, მუხლი 16. პუნქტი 6 და მუხლი 16. პუნქტი 7). დირექტორის ბრძანებით განმცხადებელი მშობლის შვილს/მოსწავლეს რამდენჯერმე დაეკისრა დისციპლინური სახდელი, მათ შორის ორჯერ: „სკოლიდან დროებით დათხოვნა **ხუთ დღის** ვადით“ და „სკოლიდან დროებით დათხოვნა **ათი დღის** ვადით.“ ორივე შემთხვევაში მოსწავლის

დათხოვნის მიზნით ბრძანებით განსაზღვრული დღეების რაოდენობა არ არის თანხვედრაში შინაგანაწესით დადგენილ ვადებთან. დისციპლინური სახდელის (მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნა) დაკისრების შესახებ დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული დღეების რაოდენობა არ არის თანხვედრაში შინაგანაწესით დადგენილ ვადებთან. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლა აღწერს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობას: ***„სკოლამ დაიწყო მუშაობა ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უფლებამოსილი იქნება, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე განიხილოს დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტები, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადება/საჩივრები და წარმოადგინოს წერილობითი სახის დასკვნა“.***

ვადები: 15.11.2024-20.12.2024.

კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს „ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც უფლებამოსილი იქნება, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე განიხილოს დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტები, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადება/საჩივრები და წარმოადგინოს წერილობითი სახის დასკვნა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 20.12.2024

2.....

3.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 18.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00137495;
- 18.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00137495) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 21.03.2024 წლის N3 პასუხი სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.

- 21.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00138438;
- 21.03.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00138438) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 22.03.2024 წლის N 6 პასუხი სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.
- 28.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00148993;
- 28.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00148993) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 31.05.2024 წლის N15 პასუხი სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.
- 31.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00149645;
- 31.05.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00149645) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 03.06.2024 წლის ბრძანება N35/3;
- 17.10.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის“ დარღვევის აღრიცხვის ფურცელი FA00156300;
- 17.10.2024 წლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის (FA00156300) რეაგირების მიზნით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ დირექტორის 21.10.2024 წლის ბრძანება N მ-82/1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.....

2.....

3.....

4.....

5. მშობლის განცხადებას ერთვის მიმოწერის სურათები ჯგუფიდან „მუსიკა 6-ბ“. სურათებიდან ირკვევა მასწავლებელმა მოსწავლის შესრულებულ დავალებას უწოდა „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი“ და ახალ ბუკლეტს სთხოვდა, თუნდაც „ფეხით დაეხატა“. მუსიკის მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება მშობლის მიერ წარმოდგენილ სურათებზე ასახული მიმოწერის ნამდვილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს მასწავლებელმა განმარტა, რომ მოსწავლის მიერ გაკვეთილზე წარმოდგენილი ნამუშევარი არ პასუხობდა დავალების პირობასა და კრიტერიუმებს. ამიტომ მან არ მიიღო დავალება წარმოდგენილი ფორმით და სთხოვა შეესრულებინა ახლიდან წინასწარ ცნობილი კრიტერიუმების მიხედვით; მასწავლებლისვე თქმით, „სასაუბროში“ მოსწავლისათვის დაწერილი „საშინელება, კოშმარი და სირცხვილი“ ასახავს ნამუშევრის ზუსტ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ნამუშევრის შესახებ ამგვარად ფორმულირებული უკუკავშირი ეწინააღმდეგება ეროვნული სასწაავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების მიზანს. კერძოდ, არ ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის, არ ემსახურება მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას (ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 7). ასევე, დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, რომ განმავითარებელი შეფასების მიზანი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობას წარმოადგენს (სასკოლო სასწავლო გეგმა, გვ.19), რაც ვერ მოხერხდება ზემოხსენებული უკუკავშირის შემთხვევაში.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს „სრული“ შესაბამისობა და ამავდროულად, გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა: ***„სკოლას გააჩნია მოსწავლეთა შეფასების გამართული სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა გეგმავს მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას (კვალიფიციური ექსპერტების მოწვევას) შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწისათვის“.***

განხორციელების ვადები: 01.12.2024 - 30.06.2025

კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის აქტივობა *„მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება (კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა) შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწისათვის“.* შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.06.2025

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N1. მშობლის განცხადება
- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ სასკოლო სასწავლო გეგმა - დამტკიცებული შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის N 1 სხდომით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1. მშობლის განცხადება
დანართი N2. მშობლის წერილი ელ. ფოსტაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი

02 დეკემბერი, 2024 წ.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმოწერები:

ცირა ნიკოლაშვილი

ნათია ოზბეთელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: